International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 4, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/IRJH6516

Conference proceedings – "International Scientific Conference on Innovation and Entrepreneurship" organised by Caucasus International University
Held on February 9-11, 2024 in Tbilisi and Telavi

Effectiveness and Development Opportunities of Informal Entrepreneurial Education: A Case Study of Georgia

Maria Kldiashvili[1]
PhD in Business Administration, Associate Professor
Caucasus International University
Ia Nadirashvili[2]
PhD student, Caucasus International University

A B S T R A C T

This article focuses on the issue of informal entrepreneurial education. Specifically, it aims to understand the perceptions and opinions of small and medium-sized entrepreneurs about informal education, the impact of the education received on entrepreneurs, and the areas where entrepreneurs need education and skill enhancement.
The article is based on research on informal entrepreneurial education involving entrepreneurs from various regions of Georgia. Their activities are related to food, handmade items and accessories, traditional Georgian crafts, textiles, eco-friendly wooden products, beauty, and other industries.
This research aims to deepen our understanding of the needs and challenges related to informal entrepreneurial education, such as the alignment of practice and theory in the real-world "here and now" context.
The research findings reveal that entrepreneurs place significant importance on entrepreneurial education and emphasize its necessity. However, they also note that the duration of educational programs is often insufficient, and the content could be broader, making it easier to tailor specifically to their entrepreneurial activities. Additionally, terminological barriers are common, hindering content comprehension and assimilation. The research highlights the need for entrepreneurs to gain more practical experience and share the experiences of other entrepreneurs along with methodological knowledge.

[1] kldiashvili.marika@ciu.edu.ge
[2] ia.nadirashvili@ciu.edu.ge

The research results can be related to the theories discussed in the works of American social psychologist Albert Bandura and can form the basis for renewed teaching approaches. The article emphasizes that entrepreneurship is a multifaceted phenomenon, and consequently, informal entrepreneurial education requires a comprehensive paradigm and appropriate educational methods based on practical teaching. Practicing entrepreneurs should be involved in the teaching process to share their real-world experiences, including both successes and failures.

Keywords: *Entrepreneurship, Informal education, Entrepreneurial education, Practice-based learning, Entrepreneurship in Georgia.*

„სამეწარმეო არაფორმალური განათლების ეფექტიანობა და განვითარების შესაძლებლობები“ საქართველოს მაგალითზე

მარია კლდიაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ია ნადირაშვილი
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

წინამდებარე სტატია ყურადღებას ამახვილებს არაფორმალური სამეწარმეო განათლების საკითხზე. უფრო კონკრეტულად, ის მიზნად ისახავს გაიგოს, თუ რა აღქმები და მოსაზრებები აქვთ მცირე და საშუალო მეწარმეებს არაფორმალურ განათლებაზე, რა ეფექტი მოუტანა მეწარმეებს მიღებულმა განათლებამ, რა მიმართულებით იკვეთება მეწარმეების საჭიროება განთლების მიღებისა და უნარების განმტკიცების ჭრილში.

სტატია ეფუძნება ჩატარებულ კვლევას სამეწარმეო არაფორმალური განათლების შესახებ, კვლევაში მონაწილეობას იღებენ მეწარმეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და მათი საქმიანობა უკავშირდება კვების, ხელნაკეთი ნივთების და აქსესუარების, ქართული ტრადიციული რეწვის, ტექსტილის, ხის ეკომეგობრული ნაკეთობების და სხვა ინდუსტრიის წარმომადგენლებს.

ეს კვლევა მიზნად ისახავს სამეწარმეო არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და გამოწვევების ღრმა გაგებას, როგორიც შეიძლება იყოს პრაქტიკისა და თეორიის თანხვედრა რეალურ გარემოში „აქ და ამჟამად“.

კვლევის შედეგებში გამოიკვეთა, რომ მეწარმეები დიდ როლს ანიჭებენ სამეწარმეო განათლებას და მის საჭიროებას ხაზს უსვამენ. აქვე აღნიშავენ, რომ სამეწარმეო განათლების ხანგრძლივობა არ არის საკმარისი, ამასთანავე სასწავლო მასალების შინაარსი უმეტეს შემთხვევაში ზოგადია, რომლის კონკრეტულად მორგებას საკუთრ სამეწარმეო საქნიანობაზე არ ან ვერ ახდენენ. ასევე ხშირია ტერმინოლოგიური ბარიერები, რაც ხელს უშლის შინაარსის აღქმას და გააზრებას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა საჭიროება მეწარმეებმა მიიღონ მეტი პრაქტიკული გამოცდილება და გაიზიარონ სხვა მეწარმეების გამოცდილება, მეთოდოლოგიურ ცოდნასთან ერთად.

კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები შეგვიძლია დავუკავშიროთ ამერიკელი სოციალურ მეცინიერებათა ფსიქოლოგიის პროფესორის ალბერტ ბანდურას ნაშრომებში განხილულ თეორიებს და შესაძლოა საფუძვლად დავუდოთ სწავლების განახლებულ მიდგომებს.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ მეწარმეობა მრავალმხრივი ფენომენია, შესაბამისად, სამეწარმეო არაფორმალური განათლება მოითხოვს ყოვლისმომცველი პარადიგმის და შესაბამისი საგანმანათლებლო მეთოდების შემუშავებას. მეთოდიკას, რომელიც დაფუძნებული იქნება პრაქტიკულ სწავლებაზე და სწავლების პროცესში ჩართული იქნებიან პარქტიკოსი მეწარმეები, რომლებიც მათი მხრიდან რეალურ გამოცდილებას გააზიარებენ, როგორც წარმატების, ასევე წარუმატებლობის ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: *მეწარმოება, არაფორმალური განათლება, სამეწარმეო განათლება, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება, მეწარმოება საქართველოში.*

1. შესავალი

მეწარმეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის. მეწარმეობა თავის არსში მოიცავს ინოვაციებს, რისკების გაწევას და რესურსულობას, რაც ყველა აუცილებელი კომპონენტია ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობისთვის. მეწარმეობის ერთ-ერთი მთავარი გზა, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, არის ახალი ბიზნესისა და ინდუსტრიების შექმნა. მეწარმეები აიდენტიფიცირებენ ბაზრის შესაძლებლობებს, ავითარებენ ინოვაციურ პროდუქტებს ან სერვისებს და აარსებენ საწარმოებს, რომლებიც არა მხოლოდ აკმაყოფილებს მომხმარებელთა საჭიროებებს, არამედ ხელს უწყობს კონკურენციას და ასევე ხელს უწყობს შემდგომ ინოვაციის განვითარებას .

უფრო მეტიც, მეწარმეობა არის სამუშაო ადგილების შექმნის მთავარი მამოძრავებელი ძალა. მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs), მნიშვნელოვანი დამსაქმებლები არიან ბევრ ეკონომიკაში. ეს საწარმოები არა მხოლოდ უზრუნველყოფენ ფიზიკური პირების საარსებო წყაროს, არამედ ხელს უწყობენ უმუშევრობის დონის შემცირებას და შინამეურნეობების შემოსავლების გაზრდას.

შესაბამისად, მეწარმეობა ემსახურება ეკონომიკის ზრდას, ინოვაციების წარმართვით, დასაქმების შესაძლებლობების შექმნით, ინვესტიციების სტიმულირებით და ეკონომიკაში მდგრადობის გაძლიერებით. მეწარმეობის განვითარების ხელსაყრელი გარემოს შექმნით მთავრობებს შეუძლიათ გამოიყენონ მისი ტრანსფორმაციული ძალა მდგრადი ეკონომიკის ფორმირებისათვის.

მთავრობის პოლიტიკა და შესაბამისი სტრატეგიული მიზნები ღრმა გავლენას ახდენს ეკონომიკაში საწარმოების განვითარებაზე. მარეგულირებელი ჩარჩოების, ფისკალური

სტიმულირებისა და მხარდაჭერის პროგრამების მეშვეობით მთავრობები აყალიბებენ ბიზნესის ოპერაციულ გარემოს და გავლენას ახდენენ მათი ზრდის ტრაექტორიაზე.

საწარმოთა განვითარებისათვის სახელმწიფოს ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად შეუძლია ინვესტიციების განხორციელება სამეწარმეო განათლებასა და უნარების განვითარებაში, სამეწარმეო ეკოსისიტემის ფორმირებისა და განვითარების ხელშეწყობაში.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს უამრავ, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება განიხილება, როგორც ძირითადი საშუალება „ინკლუზიური ზრდის“ და „დასაქმების“ მიზნების მისაღწევად. ევროკავშირში მოქმედი დაახლოებით 26 მილიონი მცირე და საშუალო საწარმო 109 მილიონი ადამიანისთვის უზრუნველყოფს დასაქმებას და ევროპის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 2/3-ს ქმნის.[3] (EuroStat, 2019)საქართველოში, მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმებულთა წილი 65%-ს, ხოლო მათი წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 59%-ს უტოლდება. (საქსტატის 2019 წლის მონაცემები. , 2019)[4] (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო)[5]

საქართველოს პროფილი	2019	2020 [9]
მცირე და საშუალო მეწარმეობის სტატისტიკა		
SME წილი მთლიან მოქმედ საწარმოებში (%)	99.7%	99.7%
SME წილი მთლიან დასაქმებაში (%)	65.0%	59.3%
SME წილი მთლიან გამოშვებაში (%)	58.4 %	58.0%
SME წილი მთლიან ბრუნვაში (%)	44.5%	40.8%
SME წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში (%)	59.3%	-

(საქართველოოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო, გვ. 9)[6]

დღეს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მოქმედ საწარმოთა 99.7%- ს უტოლდება, რაც ნათლად წარმოაჩენს მათ მნიშვნელობას, როგორც ეკონომიკური, ასევე, სოციალური თვალსაზრისით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სოციალური გავლენის თვალსაზრისით, დასაქმების პრობლემების მოგვარებაში უდიდესი როლი სწორედ მცირე

[3] (EuroStat, 2019)
[4] (საქსტატის 2019 წლის მონაცემები. , 2019)
[5] (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო)
[6] (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო)

და საშუალო ბიზნესის განვითარებას ეკისრება, რადგანაც ის ასაქმებს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს და უზრუნველყოფს მათი შემოსავლების ზრდას. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო, გვ. 22)

შესაბამისად, მცირე და საშუალო ბინზესის ხელშეწყობა აისახა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 სტარტეგიულ მიზანში შემდეგი ფორმულირებით :

„მიზანი- მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით“ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო, გვ. 43) [7]

სტრატეგიული მიზნის შეასბამისად, დოკუმენტში ასევე ასახულია სტრატეგიული ამოცანები, რომლებიდანაც რამოდენიმეს ფორმულირებას მოვიყვანთ ამ სტატიაში :

ამოცანა 2.3 სამეწარმეო უნარების გაძლიერება. გაგრძელდება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მეწარმეებისთვის სხვადასხვა ტიპის ტრენინგების შეთავაზება. ასევე, შესაძლებელია მეწარმეების ტექნიკური მხარდაჭერა, მათ მიერ პერსონალის გადამზადებისთვის. კოვიდ-19 პანდემიის მიერ შექმნილი გამოწვევების საპასუხოდ, ასევე სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან ტრენინგების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოხდება მეტი ტრენინგის ონლაინ შეთავაზება. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო, გვ. 44)[8]

ამოცანა 2.4 მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება. სახელმწიფო გააგრძელებს მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას, მათ შორის, პროფესიული განათლების ქსელის გაფართოების, პოპულარიზაციის, მრავალფეროვანი პროგრამებისა და კურსების შეთავაზების, მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის და ცნობიერების ამაღლების, პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა სამეწარმეო იდეების მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვის გზით. ასევე პროფესიულ სასწავლებლებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობის გზით, მათ შორის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გზით. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო, გვ. 44)[9]

სამეწარმეო ეკოსისტემის და მეწარმეთა გადამზადების ხედვას და პრიორიტეტიზაციას ვხვდებით საქართველოს განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის 2017-2021 დოკუმენტშიც.

[7] (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო)
[8] (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო)
[9] (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო)

„საქართველოს განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“-ში სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებთან ერთად ხაზგასმულია განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან, დასაქმებაზე მიბმული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან და განათლების ყველა საფეხურზე, მეწარმეობრივი უნარების განვითარების მნიშვნელობა. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო, გვ. 16)[10]

სამთავრობო პოლიტიკის შესაბამისად 2014 წლიდან საქართველოში მაქსიმალურად გააქტიურდა მეწარმეების გადამზადების და აქსელერაციის პროგრამები, ფუნქციონირებს სამეწარმეო გარემოს განვითარების ხელშემწყობი არაერთი, როგორც სახელმწიფო ასვევე არასამთავრობო დონორი ორგანიზაციები.

აღსანიშნავია,ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს პროგრამა:

- აწარმოე საქართველოში
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
- მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი
- საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო

საერთაშორისო არასამთვრობო, დონორი ორგანიზაციების USAID, UNDP, FAO, ENPARD, GIZ, EU4BUSINESS, World Vision, EBRD მიერ ჩატარებული პროგრამები და სხვა.

მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპერირებს არაერთი სასწავლო, სატრენინგო, აქსელერაციის და ინკუბაციის პროგრამა. მეწარმეებს უტარდებათ ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით სპეციალისტების მხრიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ მეწარმეების განათლება-გადამზადებას საბაზისო დონეზე.

აღნიშნული გადასამზადებელი პროგრამების ხანგრძლივობა და მეთოდოლოგია განსვხვავებულია. განსხვავებულია მათგან მიღებული შედეგები და სარგებელი მეწარმეებითვის, რაც წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს, და მასზე პასუხებიც კვლევის შედეგებში აისახა, რომელსაც ქვემოთ გავშლით.

სამეწარმეო განათლების საკითხის განხილვის ფარგლებში არ შეიძლება არ ვახსენოთ ევროპის სამეწარმეო კომეპეტენციების ჩარჩო *„ენტერკომპი“ (*EntreComp*),* რომელიც 2018 წელს ევროპის ყველა წევრი სახელმწიფოს შეთანხმებით იქნა მიღებული, როგორც სამეწარმეო განათლებისა და ტრენინგის სისტემების ფარგლებში მეწარმეობის ძირითადი კომპეტენციის საფუძველი.

[10] (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო)

ევროპული სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩო EntreComp

(mastsavlebeli.ge)[11]

EntreComp ჩარჩო არის ყოვლისმომცველი და დეტალური, რომელიც ქმნის სამეწარმეო კომპეტენციების კონსტრუქციას, რომელიც შეიძლება განვითარდეს სამეწარმეო განათლების მეშვეობით. მისი უპირველესი მიზნებია მეწარმეობის, როგორც ძირითადი კომპეტენციის საერთო გაგების შექმნა და სამეწარმეო კომპეტენციების საერთო ენის ჩამოყალიბება განათლებისა და პრაქტიკის გაერთიანების მიზნით. EntreComp ჩარჩო შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული კომპეტენციის სფეროსგან: „იდეები და შესაძლებლობები", „რესურსები" და „მოქმედება". თითოეული ეს სფერო მოიცავს ხუთ კომპეტენციას, რომლებიც ერთად ქმნის მეწარმეობის, როგორც კომპეტენციების სამშენებლო ბლოკებს. ჩარჩო აღწერს 15 კომპეტენციის განვითარებას პროგრესირების მოდელის გასწვრივ, რომელიც გამოხატულია სწავლის შედეგებში (Jaana Seikkula-Leino, 2021) [12]

დღევანდელ სწრაფად ცვალებად ეკონომიკაში, არაფორმალური სამეწარმეო განათლება გადამწყვეტ როლს ასრულებს. ის გვთავაზობს მოქნილ და პრაქტიკულ სწავლის მეთოდებს, როგორიცაა სემინარები, მენტორობის პროგრამები და ონლაინ კურსები. ეს მიდგომები ხელს უწყობს ინოვაციას, ავითარებს აუცილებელ ბიზნეს უნარებს და აფართოებს განათლებაზე ხელმისაწვდომობას, რაც მას უფრო ინკლუზიურს ხდის. უწყვეტი სწავლისა და სამეწარმეო აზროვნების ხელშეწყობით, არაფორმალური განათლება ამზადებს ინდივიდებს დინამიურ ბიზნეს გარემოში ნავიგაციისთვის და წარმატების მისაღწევად. თუმცა, იმ მრავალფეროვან მეთოდებს შორის, რომელსაც იყენებს არაფორმელური საწერმეო განათლება, კონკრეტულად, რომელი მათგანი არის უფრო ეფექტური მცირე მტკიცებულებები მოიპოვება სამეცნიერო საზოგადოებაში.

ზრდასრულთა არაფორმალურმა განათლების კონცეფციამ და როლმა დღეს განიცადა ფუნდამენტური ცვლილება (Askling, 2000) [13] არა მხოლოდ, როგორც სასკოლო სისტემის გარეთ განხორციელებულმა საგანმანათლებლო მომსახურებამ, რაზეც საუბრობენ კუმბსი

[11] (mastsavlebeli.ge)
[12] (Jaana Seikkula-Leino, 2021)
[13] (Askling, 2000)

და სხვა მკვლევრები, (Coombs, 1973) [14]არამედ როგორც საგანმანათლებლო სამსახურმა, რომელიც ათავისუფლებს მონაწილეებს [15] (Darder, (2015)) და ეხმარება მათ შეასრულონ სასწავლო საჭიროებები მათი ცხოვრებისეული მოთხონების შესაბაისად. როჯერსის (2014) მიხედვით , (Rogers, 2014)[16]არაფორმალური განათლება არის საგანმანათლებლო სერვისი, რომელიც ძალიან მოქნილია,(როგორც სასწავლო გეგმის ტერმინი, სწავლის მეთოდი, დრო, სწავლაში ჩართულობა და სწავლის პროგრესის შეფასება). არაფორმალური განათლება უფრო ფართო პერსპექტივით გულისხმობს რეგულარულ და მიმართულ კომუნიკაციას, რომელიც შექმნილია ისე, რომ პოტენციურმა მეწარმეებმა მიიღონ გაანათლება და განავითარონ უნარები, მიიღონ რჩევები ასაკისა და საჭიროებების მიხედვით . (World Health Organization., 2010)[17]

არაფორმალური განათლების აქტივობებისა და პროგრამების ეფექტური განხორციელება ხარისხის მხარდაჭერის გარეშე ვერ წარიმართება, (Wallenborn, 2010) [18]რაშიც დიდი როლი ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგს, ტრენერს, ფასილიტატორს.

ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, რომ იმ პედაგოგებმა, რომლებსაც აქვთ ძლიერი პოზიტიური აღქმა ან ვალდებულება მათი მეწარმეობის მასწავლებლობის როლისადმი, შესაძლოა უფრო მეტად შეუწყონ ხელი დასწავლას, ვიდრე მათ, ვისაც უფრო სუსტად აქვთ მათი როლი გათავისებული (Bandura A. , Self-Efficacy: the Exercise of Control, 1997)[19] (Candida Brush, 2024)[20]

ამასთანავე, დასწავლის პროცესის შედეგი, ასევე დამოკიდებულია მონაწილის თვითეფექტურობაზე, რომელიც თავის მხრივ, დაკავშირებულია ინდივიდის საკუთარი შესაძლებლობების რწმენა-წარმოდგენებზე, თუ რამდენად შესწევს მას უნარი წარმატებას მიაღწიოს გარკვეულ სფეროში ან კონკრეტულ სიტუაციაში. ეს ეხება მოქმედებების ორგანიზებისა და განხორციელების შესაძლებლობებს, რომლებიც საჭიროა მოცემული მიზნის მისაღწევად. (Bandura A. , Self-Efficacy: the Exercise of Control, 1997).[21] ამასთანავე სტეტსი და ბურკი (Stets, 2000)[22] უკავშირებენ თვითეფექტურობას ტრენინგის / პროგრამის მონაწილის კონკრეტულ „როლში“ მოქმედების მოტივაციურ ნაწილს და ამტკიცებენ, რომ "ინდივიდებს შეუძლიათ საკუთარი თავის კატეგორიზაცია კონკრეტული გზებით (ჯგუფში

[14] (Coombs, 1973)
[15] (Darder, (2015))
[16] (Rogers, 2014)
[17] (World Health Organization., 2010)
[18] (Wallenborn, 2010)
[19] (Bandura A. , Self-Efficacy: the Exercise of Control, 1997)
[20] (Candida Brush, 2024)
[21] (Bandura A. , Self-Efficacy: the Exercise of Control, 1997)
[22] (Stets, 2000)

ან როლში) არა მხოლოდ მათი მოთხოვნილების დაასაკმაყოფილებლად იგრძნონ თავი ღირებულად და ღირსეულად, (თვითშეფასების მოტივი), არამედ ასევე იგრძნონ თავი კომპეტენტურად და ეფექტურად (Bandura A. , "Self-efficacy", 1994, გვ. 233)[23]

თვითეფექტურობის მოდელი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ რაც უფრო მეტად აქვს მასწავლებელს დარგის, თემის შესაბამისი კომპეტენცია, მით მეტად შეუძლია მას ცვლილებებისა და ზემოქმედების მოხდენა მოსწავლის ქცევებზე და სწავლის შედეგებზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მეწარმეობის მასწავლებლის ეფექტურობა გავლენას მოახდენს მათი როლის იდენტობაზე ან იმაზე, თუ როგორი იქნება მასწავლებლის ხედვა საკუთარ თავთან მიმართებაში. (Candida Brush, 2024)[24]

გარდა ამისა, კანრიუსი და სხვები (Canrinus, 2011) [25]ვარაუდობენ ძლიერ კავშირს მასწავლებელთა კლასის თვითეფექტურობასა და მათ პროფესიულ იდენტობას შორის და გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომ „მასწავლებელთა თვითეფექტურობა, შრომით კმაყოფილება, მოტივაცია და პროფესიული ვალდებულება აღიქმება, როგორც მათი პროფესიული იდენტობის განცდის ინდიკატორი“. აქედან გამომდინარე, კანდიდა ბრაში და სხვები ამტკიცებენ, რომ თვითეფექტურობა დაკავშირებული იქნება მეწარმეობის მასწავლებლის როლურ ვინაობაზე (Candida Brush, 2024) . [26]

ზემოთ მოყვანილი ყველა მოსაზრება შეგვიძლია შევაჯეროთ კანადო-ამერიკელი ფსიქოლოგის, სოციალურ-კოგნიტური თეორიის ავტორის, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ალბერტ ბანდურას შეხედულებებით , რომ ადამიანებს შეუძლიათ ისწავლონ სხვა ადამიანებისგან დაკვირვებით, იმიტაციითა და მოდელირებით. ინდივიდები სწავლობენ სხვების ქცევებზე და ამ ქცევის შედეგებზე დაკვირვებით. მიბაძვის, მოდელირებისა და მონაცვლეობითი განმტკიცების როლი უმნიშვნელოვანესია ახალი ქცევებისა და უნარების შეძენაში. ადამიანებს შეუძლიათ ისწავლონ არა მხოლოდ უშუალო გამოცდილებით, არამედ სხვების ქმედებებზე დაკვირვებითა და მიბაძვით, რაც ხელს უწყობს სოციალური გავლენის გაგებას და ქცევის შეძენას. თუმცა მხოლოდ გამოცდილები შეიძლება იქცნენ ავტორიტეტებად და მისაბაძ როლ მოდელად. ბანდურა ამასთნავე აღნიშნავს, რომ ქცევის შედეგების განმტკიცება ხდება მხოლოდ მაშინ თუ „მოდელი“ აღქმულია: სანდოდ და დადებითად, არსებობს მსგავსება მოდელისა და დამკვირვებელის თვისებებს შორის, დამკვირვებელი იღებს ჯილდოს მოდელის ქცევაზე ყურადღების მიქცევისთვის, მოდელის ქცევა სხვებისგან გამორჩეულია.

[23] (Bandura A. , "Self-efficacy", 1994)
[24] (Candida Brush, 2024)
[25] (Canrinus, 2011)
[26] (Candida Brush, 2024)

ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ფაქტორების გამო, სადაც დავინახეთ თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეწარმეო არაფორმალურ განთლებას მეწარმოების განვითარებისა და ხელშწყობისათვის, ასევე მეცნიერთა ნაშრომების საფუძველზე განვიხილეთ და შევეხეთ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს სამეწარმეო განათლების ეფექტიანობაზე და შედეგებზე, მიზნად დავსახეთ გამოგვეკვლია არაფორმალური სამეწარმეო განთლების ეფექტურობა და განვითარების შესაძლებლობა მოქმედი მეწარმეების მაგალითზე.

კვლევის მიზნად დავისახეთ გამოგვეკვლია და შეგვესწავლა სამეწარმეო არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული საჭიროებები და გამოწვევები ქართულ რეალობაში, სამეწარმეო განათლების შესაბამისობა რეალურ გარემოსთან. თეორიაზე დაფუძნებული კონტექსტუალური პრაქტიკული აქტივობების მეთოდლოგიის გამოყენების შესაძლებლობა და საჭიროება.

სტატიაში განხილული გვაქვს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემები სამეწარმეო არაფორმალური განათლების შესახებ, სადაც გამოკითხული არიან მეწარმეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

აღნიშნულ სტატიაში ვსაუბრობთ არაფორმალურ სამეწარმეო განათლებაზე, მის შედეგებსა და გავლენაზე სამეწარმეო საქმიანობაზე. ჩვენ ვიკვლევთ მეწარმეების მიერ აღქმულ საჭიროებას-სამეწარმეო უნარებისა და ცოდნის შესახებ. გარდა ამისა, ჩვენ ვიხილავთ თეორიასა და პრაქტიკას შორის თავსებადობას, ხაზს ვუსვამთ მეთოდებსა და მეთოდოლოგიებს, რომლებიც შეესაბამება რეალურ გარემო პირობებს, რაც უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის, საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრაციას საქრთველოს რეალობასთან .

2. მეთოდოლოგია

არსებული კვლევის მონაცემების შესაგროვებლად გამოვიყენე შერეული მიდგომა, რომელიც აერთიანებს, როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მეთოდებს. რესპონდენტებისგან მონაცემები შევაგროვეთ ონლაინ გამოკითხვის საშუალებით. რაოდენობრივ კვლევაში გამოვიყენეთ დახურული კითხვები- „დიახ/არა“. ასევე გამოყენებული იყო დახურული კითხვები, სადაც შესაძლებელი იყო რამდენიმე ან ერთი შესაძლო ვარიანტის მონიშვნა. ზოგიერთი კითხვის შემთხვევაში, რესპონდენტებს ჰქონდათ პასუხის გაცემის შესაძლებლობა, მაგ., „სხვა, გთხოვთ მიუთითოთ“. გარდა ამისა, რამდენიმე კითხვა იყო გამოცდილებაზე ორიენტირებული, მაგალითად, „რას მიიჩნევდით პროგრამაში მონაწილეობის მთავარ შედეგად თქვენთვის?“ ხშირად ამ კითხვებზე რესპონდენტები პასუხს ავსებდნენ აღწერითი, თვისებრივი პასუხით.

კითხვარი გაზიარებული იყო საკომუნიკაციო არხებით, პირდაპირი ფოსტით არსებულ მონაცემთა ბაზებზე, სოციალურ მედიაში და ფართო გავრცელებით ონლაინ მედიაში, როგორც დახურულ, ასევე ღია ჯგუფებში.

ჩვენ ავირჩიეთ მიზანმიმართული შერჩევის მეთოდი, რადგან გვინდოდა ჩვენი გამოკითხვა შერჩევითად მიგვემართა იმ რესპონდენტებისკენ, რომლებსაც მიგვაჩნია, რომ ჰქონდათ წინარე ან მიმდინარე სამეწარმეო საქმინაობის გამოცდილება და იყო დიდი ალბათობა, რომ ჰქონოდათ გაგება ან ცოდნა სამეწარმეო არაფორმალური განათლების შესახებ. სამიზნე აუდიტორიად შევარჩიეთ სამეწარმეო საქმიანობის დამფუძნებლები, მფლობელები, მმართველები.

გარდა ამისა, ჩვენი მეთოდოლოგია ეფუძნება შემთხვევის შესწავლის მიდგომას პრაქტიკული შედეგების შესწავლის გათვალსიწინებით. ჩატარდა გამოკითხვა კონკრეტულ შემთხვევებთან და აღქმებთან დაკავშირებული მონაცემების შესაგროვებლად, როგორც პირველადი მონაცემების შეგროვება, მცირე ნიმუშიდან ან უფრო დიდი მთლიანი პოპულაციისგან, რომლებიც დაკავშირებულია არაფორმალურ სამეწარემო განათლებასთან.

მონაცემთა ანალიზი: რაოდენობრივი კვლევის მონაცემები გაანალიზდა ისეთი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა აღწერითი სტატისტიკა. თვისებრივი მონაცემები თემატურად იქნა გაანალიზებული, რათა გამოგვეკვლია მონაწილეთა ხედვები, გამოცდილება და დამოკიდებულება არაფორმალურ სამეწარმეო განათლებასთან დაკავშირებით. მონაცემთა ორივე ნაკრების ინტეგრირებით, ეს კვლევა მიზნად ისახავს საკვლევი თემის ყოვლისმომცველი ანალიზის უზრუნველყოფას.

3. კვლევის შედეგები

გამოკითხვაში სულ იყო 259 რესპონდენტი საქართველოს ქალაქებიდან, რეგიონებიდან და სოფლებიდან. ვინაიდან რესპონდენტთა მცირე რაოდენობა იყო ერთი და იგივე გეოგრაფიული ადგილმდებაროებიდან, ამიტომ მიღებული მონაცემების განზოგადოება მოხდება მთლიანად საქრთველოს მაგალითზე. (რაც შეეხება რეგიონების ჭრილში მონაცემების უფრო ღრმა გაგებას, ამისათვის დამატებითი კლვევის დაგეგმვა და განხორციელება არის სჭირო)



მეწარმეთა 99% ჩართულია საოპერაციო საქმიანობაში

შედეგად გამოკითხვაში მონაწილობა მიიღეს მეწარმეებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან (სამეგრელო, გურია, ქართლი, კახეთი, თბილისი...) და ასევე სხვადასხვა ინდუსტრიებიდან: სოფლის მეურნეობა, მებაღეობა, მეხილეობა, ქართული ტრადიციული რეწვა, საწებლების საწარმო, მეფრინველეობა, ხელნაკეთი ნივთები, სილამაზის ინდუსტრია, ტექსტილი, ბავშვის ტანსაცმლის და ფეხსაცმლის წარმოება, სათამაშოებისა და აქსესუარების წარმოება, კრეატიული ინდუსტრია, ეკომეგობრული პროდუქციის წარმოება, ქსოვის, ქარგვის სფერო, ინფორმაციული ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფები, ხელნაკეთი სამკაულები, აქსესუარები, ხის ეკომეგობრული აქსესუარები, სანათები და სახლის დეკორატიული ნივთები, ჩირის, ჩურჩხელის, ტყლაპის წარმოება, შოკოლადის ნაწარმის წარმოება, ხილის გადამუშავება, შრობა, ხელნაკეთი ნივთები: სათამაშოები, ჩანთები, პლედები, კედლის დეკორაცია, ნატურალური ტყავის ხელნაკეთი აქსესუარები, ძველი ავეჯის რესტავრაცია, ნატურალური თავის (კანის) მოვლის საშუალებები, ტკბილეულის წარმოება, სუნელ-სანელებლების და საკაზმ-სანელებლების წარმოება, ხელნაკეთი ჩანთები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება, აგრო ინდუსტრია, დაფნის ნედლეულის გადამუშავება და სხვა.

გამოკითულთა შორის 62.7- ის ასაკობრივი კატეგორია შეადგენს 35-54 წელს.



გამოკითხულთა 66.1% ქალია, რაც სავარუდოდ განპირობებულია ქალი მეწარმეების წახალისების არაერთი მხარდაჭერის პროგრამით.



გამოკითხული მეწარმეებიდან 34%-ის საქმიანობა 3 დან 5 წელს მოიცავს, ხოლო 32% 5 წელზე მეტია საქმიანობს.



რაც შეეხება აღნიშნულ საწარმოთა მოცულობას, შეიძლება შევაფასოთ დასაქმებული ადამიანების მიხედვით. გამოკითხულლთა 78%-ს მხოლოდ 10 კაცამდე ჰყავს დასაქმებული. აქვე აღსანიაშნავია, რომ გამოკითხულ მეწარმეთა 99% კვლავაც ჩართულია საოპერაციო საქმიანობაში.



გამოკითხულთა 100% თვლის, რომ სამეწარმეო განათლების მიღება მნიშვნელოვანია მათთვის, თუმცა გამოკითხულთა მხოლოდ 52.5%-ს აქვს მიღებული სამეწარმეო განათლება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამეწარმეო განათლებისადმი წვდომა, ანდა ინფორმირებულობა მუშაობას მოითხოვს. კითხვაზე თუ რამდენად ხელმისაწვდომია და ადვილად იძებნება ინფორმაცია არაფორმალური სამეწარმეო განათლების პროგრამების შესახებ? ჯამში 61% უპასუხა, რომ ძნელად იძებნება ან არ აქვს ინფორმაცია.

არაფომალური სამეწარმო განათლების ეფექტიანობასთან დაკავშირებით არსებული კვლევის შედეგებიდან მხედველობაში მივიღეთ მხოლოდ იმ მეწარმეთა პასუხები, ვისაც მიღებული აქვს სამეწარმეო განათლება.



რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით დავადგინეთ, მათ ვისაც მიღებული აქვთ არფორმალური სამეწარმეო განათლება, რამდენად ეფექტურად და რა მიმართულებით დანერგეს საკუთარ საწარმოებში მიღებული ცოდნა და უნარები, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად გავიხილავთ.

კითხვაზე, როგორ ფიქრობთ, სამეწარმეო განათლება ადეკვატურად ამზადებს ინდივიდებს რეალური ბიზნესის გამოწვევებისთვის? 14% უპასუხა, რომ სრულიად ეთანმხება, 36.8 % ეთანმხება, 38,6%-მ ნეიტრალური პასუხი მონიშნა, 8.8% არ ეთანხმება, ხოლო 1.8% სრულიად არ ეთანხმება.



ღია კითხვაზე, თუ რა დროს მოიცავდა მიღებული სამეწარმეო განათლების პერიოდი, მეწარმეებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესი/ტრენინგები შეიძლება ყოფილიყო რამდენიმე საათიანი, რამდენიმე დღიანი ან რამდენიმე თვიანი. საშუალოდ მითითებული დროითი პერიოდი მოიცავს 3 თვიან პერიოდს.

კითხვაზე მიღებული სამეწარმეო განათლება დანერგეთ, გამოიყენეთ პრაქტკულ საქმინობაში? 40% უპასუხა კი, რა თქმა უნდა, 41.8 % უფრო კი ვიდრე არა, ხოლო 18,2% ის პასუხი იყო ნეგატიური, რომ არ გამოუყენებიათ მათ სამეწარმეო საქმინობაში.



მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას 76.3% აქვს უმაღლესი განათლება, ბაკალავრის, მაგისტრის ხარისხი სატრეინინგო მასალის შინაარსის

სრულყოფილი აღქმა და გაგება, ასევე, თემატიკის მორგება საკუთარ საქმიანობაზე რთულდება. რაც შესაძლოა ასევე უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ უმეტესად სატრენინგო სივრცეში თავმოყრილი არიან მეწარმეები სხვადასხვა ინდუსტრიიდან და საქიანობის სხვადასხვა განვითრების ეტაპზე იმყოფებიან.

-„გარდა სამეწარმეო განათლებისა და თეორიული ინფორმაციისა, ეფექტური იქნება პრაქტიკული გამოყენება ასწავლოთ მეწარმეებს. ხშირად პროგრამები არის ზოგადი, არის საფუძვლები მოცემული კონკრეტული საკითხის და არაა დრო მეტად გაშლისა თუ ჩაღრმავებისთვის, ამიტომ ვფიქრობ, რომ მათთვის, ვინც არაა ასე ღრმად ჩახედული ბიზნესის პროცესებში თუ სხვადასხვა მიმართულებებში, აუცილებელია დეტალური ანალიზი კონკრეტული საკითხების.“

ასევე

-„მეტი პროფესიონალი ტრენერი, რომელიც ღრუბლებში არ დაფრინავს და პრაქტიკულ მაგალითებზე საუბრობს.“

„ვისურვებდი უფრო სიღრმისეულ სემინარებს“

- „უფრო გასაგებ ენაზე და უფრო მეტი ინფორმაცია“

-„უფრო მეტად ხანგრძლივი და უფრო კონკრეტული“ .

- „კარგია თუკი პრაქტიკულად ხდება გარკვეული ინფორმაციის დამუშავება და მორგება ბიზნესზე“.

-„აღნიშნული შეხვედრები მცირე მეწარმეობის სრულყოფილად შესასწავლად, უფრო ზედაპირულია, ხშირად ბევრი ინფორმაციაა მოკლე დროში, რაც არ გამახსოვრდება. სასურველია იყოს შედარებით გრძელვადიანი და უფრო კონკრეტული და საფუძვლიანი“.

- „ხშირად ბიზნესებს თავიანთ თავზე თარგმნა უჭირთ ხოლმე ზოგადი სახის ინფორმაციის. მაგალითად, შემოქმედებით ინდუსტრიაში თვისობრივად განსხვავებული გამოწვევები დგას და ამ დროს მენტორინგის დამატება მნიშვნელოვანია ხოლმე.“

კითხვაზე, როგორ ფიქრობთ, რა გზებით შეიძლება გაუმჯობესდეს სამეწარმეო განათლება? (ღია კითხვა), პასუხებში შემდეგი მოსაზრებები გამოიკვეთა. მეწარმეები ფიქრობენ უმჯობესია დარგის სპეციალისტები ჩაერთონ სწავლების პროცესში, სასწავლო თემატიკა იყოს უფრო კონკრეტულ ინდუსტრიაზე მორგებული, განხილული იყოს წარმატებული და წარუმატებელი ქეისები და სხვა , რომელთაგანაც რამდენიმეს ციტირებას მოვახდენთ:

„ძალიან კარგი იქნება თუ კარგ ტრენინგებს ჩაატარებენ პრაქტიკოსი მეწარმეები, რომლებიც რეალურად შედეგებამდე მისვლის გზაზე ილაპარაკებენ და არა თეორიულ ნაწილს გადმოიტანენ პრეზენტაციებში. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში იყოს ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებს წარმატებებისა და წარუმატებლობების ქეისების გაზიარებაზე ყველა

მეწარმისთვის, ვინც დაინტერესებულია და სიღრმისეულ ანალიზში დაეხმარება მსურველს, რა მოხდა, რა უნდა გაკეთებულიყო სხვანაირად უკეთესი შედეგისთვის და მაქსიმიზაციისათვის. მოკლედ, რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული გამოცდილება არის ძალიან საჭირო.“

„ძალიან კარგი იქნება, თუკი უფრო პრაქტიკული ნაწილი ჩაერთვება“.

„ პრაქტიკული მაგალითი წარმატებული და წარუმატებელი მეწარმეობის შესახებ შესაბამისი ანალიზით“.

„ ვისურვებდი, ასევე, მეტად პრაქტიკული თემატიკით დატვირთულ კურსებს, რომელსაც გავივლიდი დიდი მოტივაციით და მომეცემოდა შესაძლებლობა მეტი ჩართულობით ამეწყო და განმევითარებინა სწორი მიმართულებებით ბიზნესი.“

4. დასკვნები

სამეწარმეო სწავლების მეთოდოლოგიის, ასევე პროცესის გაუმჯობესების, გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

- მეწარმეები დიდ როლს ანიჭებენ სამეწარმეო განათლებას და მის საჭიროებას ხაზს უსვამენ.
- სამეწარმეო განათლების მიღების ხანგრძლივობა არ არის საკმარისი.
- კონტენტი შესაძლოა იყოს ზოგადი, თეორიის მორგება საკუთარ სამეწარმეო საქნიანობაზე არ ან ვერ ხერხდება.
- ტერმინოლოგიური ბარიერები, ხელს უშლის შინაარსის აღქმას და გააზრებას. ვაიაიდან ხშირად ტრენინგებზე წარმოდგენილი ინფორმაცია შაბლონურია, ზოგადია და მის რეალობაში აღქმას, საკუთარ მაგალითზე მორგებას ვერ ახერხებენ მონაწილეები.
- ქართული სამეწარმეო ქეისების გაზიარება, როგორც წარმატებული, ასევე წარუმატებლობის მაგალითზე, მისცემს მეწარმეებს საშუალებას მეტად მომზადებულები შეხვდნენ გამოწვევებს.
- სამეწარმეო განათლების ხანგრძლივობა არ არის საკმარისი, რაც რამდენიმე სათიანიც შეიძლება იყოს.
- მეწარმეებისათვის იზრდება დარგის სპეციალისტების ჩართულობით და დარგობრივი კლასიფიცირებით, სწავლებისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა.

სწავლების მეთოდებში მსგავსი მიდგომების გათვალისწინება და დანერგვა კონკრეტული უნარების პრაქტიკაში განხორციელებას, მეტ თავდაჯერებულობას და მოტივაციას მისცემს მეწარმეებს. ვინიდან თითქმის ნებისმიერი სისტემა უკეთესად იმუშავებს, თუ მეწარმეები

(ამ შემთხვევაში ტრენინგის მონაწილეები) კარგად გრძნობენ თავს გარემოში (მსგავსებთან). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეწარმეები იძენენ კომპეტენციებს რეალური მაგალითებით, რომელიც თეორიაზე დაფუძნებული აქტივობებით არის განმტკიცებული პრაქტიკაში.

ჩვენს მიერ მოცემული საკითხების, არაფორმალური სამეწარმეო განათლების პროგრამებში ინტეგრაციით, შესაძლებელია შეიქმნას უკეთესი სასწავლო გარემო, რომელიც მოერგება მონაწილეთა სამეწარემო საჭიროებებსა და მისწრაფებებს (Nikou, 2024).

ბიბლიოგრაფია

1. სამინისტრო, ს. ე. (თ. გ.). (ს. მ. 2021-2025, რედ.)
2. საქართველოოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო. (თ. გ.). SME განვითრების სტრატეგია 2021-2025. (https://www.economy.ge, რედ.) საქართველო. მოპოვებული https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf-დან
3. საქსტატის 2019 წლის მონაცემები. . (2019). მოპოვებული www.geostat.ge.-დან
4. სტრატეგიის, ს. გ. (2017-2021). 16.
5. Askling, B. &.-F. (2000). Lifelong Learning and Higher Education: The Swedish case. *European Journal of Education, 35(3),*, 257–269. doi:doi:10.1111/1467-3435.00025.
6. Bandura, A. ,. (1978). 'Self-efficacy: Toward a unifying theory of behavioral change'Advances in Behaviour Research and Therapy. (1. Pergamon, რედ.) doi:doi: 10.1016/0146-6402(78)90002-4.
7. Bandura, A. (1994). *"Self-efficacy"* (ხმა Vol. 4, .). (Encyclopedia of Human Behavior (Reprinted in H. Friedman [Ed.], რედ.) San Diego,: Encyclopedia of Mental Health, Academic Press,, in Ramachaudran, V.S. (Ed.),.
8. Bandura, A. (1997). Self-Efficacy: the Exercise of Control,. (1st ed., რედ.)
9. Candida Brush, B. W. (2024 წლის january). Understanding influences on entrepreneurship educator role identity,. *reserchgate.net*. doi:10.1108/ET-01-2022-0007
10. Canrinus, E. H.-L. (2011). "Self-efficacy, job. *European Journal of Psychology of Education, Vol. 27 No. 1,*, pp. 115-132,. doi:doi: 10.1007/s10212-011-0069-2
11. Coombs, P. H. ((1973)). International Council for Educational Development,, New paths to learning for rural children and youth. , New York, United States.
12. Darder, A. ((2015)). Chapter Two: Paulo Freire and the Continuing Struggle to Decolonize Education. . Bern, Switzerland.
13. EuroStat. 2019. (2019). *Statistics on SMEs.* მოპოვებული https://ec.europa.eu/eurostat/statistics: explained/index.php/Statistics_on_small_and_medium-sized_enterprises-დან
14. Jaana Seikkula-Leino. (2021). EU Policies Driving Entrepreneurial Competences—Reflections from the Case of EntreComp. (1. 8. Sustainability 2021, რედ.) doi:doi.org/10.3390/su13158178
15. mastsavlebeli.ge. (თ. გ.). ევროპული სამეწარემო კომპეტენციის ჩარჩო EnterComp. მოპოვებული https://mastsavlebeli.ge/?p=23461-დან

16. Musa Safuri 1*, Y. M. (2022 წლის december). Agriculturally based Equivalent Education: Insights on Nonformal Education Human Resources and Program Quality. *Journal of Human, earth and Future Vol3, NO 4,* , 442. doi:ISSN:2785-2997
17. Musa Safuri, Y. M. (თ. გ.). Agriculturally based Equivalent Education: Insights on Nonformal Education Human Resources and Program Quality .
18. Nikou, C. B. (2024 წლის January). Understanding_influences_on_entrepreneurship_educator_role_identity. *researchgate.net*. doi:DOI: 10.1108/ET-01-2022-0007
19. Rogers, A. ((2014).). The base of the iceberg: Informal learning and its impact on formal and non-formal learning. . Verlag Barbara Budrich, Kornwestheim, Germany. doi: doi:10.3224/84740632.
20. Stets, J. a. (2000). “Identity theory and social identity theory”,. *Vol. 63 No. 3*, pp. 224-237,. doi:10.2307/2695870.
21. Wallenborn, M. ((2010).). Vocational Education and training and human capital development: current practice and future options. . European Journal of Education, 45(2), 181–198. doi:doi:10.1111/j.1465-3435.2010.01424.x.
22. World Health Organization. (2010). Community-based rehabilitation: CBR guidelines. *World Health Organization (WHO)*. Geneva, Switzerland.